ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 146

“ 10 ” ივნისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე 50000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №72.13.33.805) და ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე 16922 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.11.05.029.102) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილების დანართით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 27 აპრილის №16.29.387 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე 50000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №72.13.33.805) და ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე 16922 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.11.05.029.102) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „აღმშენებლის“ (ს/ნ №203835920) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქ. №9ა-ში მდებარე უფლებრივად უნაკლო, 2765 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.15.02.053.003) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2.განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება ვასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- .2016 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 27 აპრილის №16.29.387 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო", მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------) და მეორეს მხრივ, შპს „აღმშენებელი" (შემდგომში „კომპანია", ს/ნ: 203835920, მის: ქ. თბილისი, გალის ქ. #165, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------), ვაფორმებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს კომპანიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას:

1.2.1.ქალაქ თბილისში, გლდანში მდებარე 50000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №72.13.33.805)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.2.2.ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე 16922 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.102)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით, კომპანია საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქ. #9ა-ში მდებარე 2765 კვმ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.15.02.053.003)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება კომპანიას საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის გარეშე და არ საჭიროებს სააგენტოს მხრიდან შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

2.2. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება ხელშეკრულების მხარეებს გადაეცემათ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.3. გადაცემულ უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების ორივე მხარის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს) წარედგინება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

3.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. არის უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან.

3.2. კომპანია აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს მის საკუთრებას. არის უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

3.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

3.4. კომპანია უარს აცხადებს ამ ხელშეკრულებით გასაცვლელი მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული სხვაობის მიღებაზე და არ ავალდებულებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს აღნიშნული სხვაობის ანაზღაურებაზე.

3.5. კომპანია ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.6. კომპანია ვალდებულია, მის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 4. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

5.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

5.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს), თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

5.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით.

5.5. ხელშეკრულების მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

_____

შპს „აღმშენებელი“

_____